ბრძანება:**ბ23. 2322357001**
თარიღი:**23/12/2022**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებსა და საჯარო მოსამსახურეებზე საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განაწილების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ჟ“ ქვეპუნქტისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განაწილდეს სასაუბრო ბარათები საკრებულოსა და აპარატის თანამშრომლებზე, ყოველთვიურად შემდეგი სახით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე - 30 ლარის სასაუბრო ლიმიტი.

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - 25 ლარის სასაუბრო ლიმიტი.

გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები - 25 ლარის სასაუბრო ლიმიტი.

დ) საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები - თითოეულს 25 ლარის სასაუბრო ლიმიტი.

ე) საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეები - თითოეულს 25 ლარის სასაუბრო ლიმიტი.

ვ) საკრებულოს აპარატის უფროსი - 25 ლარის სასაუბრო ლიმიტი.

ზ) საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსები – თითოეულს 10 ლარის სასაუბრო ლიმიტი.

თ) საკრებულოს აპარატის სპეციალისტები – თითოეულს 10 ლარის სასაუბრო ლიმიტი.

ი) კომისიებში საორგანიზაციო და საოქმო მართვის საკითხების სპეციალისტი - 10 ლარის სასაუბრო ლიმიტი.

კ) საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი - 15 ლარის სასაუბრო ლიმიტი.

ლ) საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეები – თითოეულს 5 ლარის სასაუბრო ბარათი.

2. საკრებულოს თავმჯდომარეს სამსახურეობრივი სარგებლობისათვის მიეცეს ყოველთვიურად 500 (ხუთასი) ლიტრი ბენზინის საწვავი.

3. საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს სამსახურეობრივი სარგებლობისათვის მიეცეს ყოველთვიურად 200 (ორასი) ლიტრი ბენზინის საწვავი.

4. საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებს ყოველთვიურად მიეცეთ სამსახურეობრივი სარგებლობისათვის 50 (ორმოცდაათი) ლიტრი საწვავი.

5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს ყოველთვიურად მიეცეს 50 (ორმოცდაათი) ლიტრი ბენზინის საწვავი.

6. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებს (გარდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების) ყოველთვიურად მიეცეს 50 (ორმოცდაათი) ლიტრი ბენზინის საწვავი.

7. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილებამ უზრუნველყოს საწვავისა და მონოების ლიმიტებით გაცემის მიზნით შესაბამისი პროცედურების განხორციელება და კონტროლი.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

9. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი ეთხოვოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს.

10. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 23 თებერვლის N№23.23220541 ბრძანება.

11. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. 7) ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

ვახტანგ ღამბაშიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი